

## მოკლედ:

საქართველოს მოსახლეობის 88% დაინტერესებულია ფეხბურთით, თუმცა ქართული კლუბების თამაშებზე მათი მხოლოდ 1% -ია, ნამყოფი.

**სიფუაცია განსაკუთრებით მძიმე თბილისშია.**

ყალიბდება ახალი პრო-ლიგა, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება.

**ჩვენი მიზანია:**

უნიკალური მაყურებლების რაოდენობა გაიზარდოს მინიმუმ 150000-მდე.

**მიზნობრივი აუდიტორია:**

**პირველადი:** 16-40, ცხოვრობს თბილისში. ჩვევაში გაუჭდა ცინიზმი ქართული ფეხბურთისა და საფეხბურთო კლუბების მიმართ.

**მეორადი:** 16-40, ცხოვრობს რეგიონებში.

## სტრატეგია:

ნაცვლად იმისა, რომ ვეცადოთ, გადავარწმუნოთ იმედგაცრუებული გულშემატკივრები, რომ ფეხბურთის დონე საქართველოში არც ისე დაბალია, ჩვენი მიზანია მთლიანად შევცვალოთ სასაუბრო თემა.

**გავაერთიანოთ ისინი ემოციური CAUSE-ის გარშემო. შევექმნათ ახალი პლატფორმა ერთ მუჭად შეკრული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის.**

შევექნათ რეალური საფრთხე, რომელიც ქართული ფეხბურთის სიმბოლოს, კულტურული მემკვიდრეობის ხელშეუხებელ ძეგლს - ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს-დინამო არენას დაემუქრება.

## პირველი ეტაპი (1 თვე):

**იგეგმება დინამო არენის დემონტაჟი და მის ადგილას სავაჭრო კომპლექსის - დინამო მოლის აგება.**

მას-მედიით ვრცელდება ინფორმაცია პროექტზე, რომლის მიხედვითაც დინამოს სტადიონის ადგილას სავაჭრო ცენტრი უნდა აშენდეს. ოფიციალური წყაროების (რომლებიც ჩართულნი არიან ჩვენს პროექტში)განცხადებით დინამოს მაცნებზე დასწრების დონე არ ამართლებს ამხელა სტადიონის გამოყოფას კომერციულად ძვირადღირებულ ლოკაციაზე.

ამას მწვავე გამოხმაურება მოყვება აზრთა ლიდერებისგან. ვეცერანი ფეხბურთელები, კომენტატორები, პოლიტიკოსები, ბლოგერები და რიგითი მოქალაქეები ერთხმად უერთდებიან პროტესტს, რაშიც მათ რამოდენიმე მზა პლატფორმა დაეხმარებათ: ონლაინ პეტიცია "დავიბრუნოთ დინამო", სადაც მიზანი მილიონი ხელმოწერის შეგროვებაა და ფეისბუქ გვერდი "დავიბრუნოთ დინამო".

ჩაიწერება დინამოს ჰიმნის თანამედროვე ქავერი ამ მოვლენაზე მორგებული ტექსტით, ნაწყვედი:

*"ყველაფერი ახლა წყდება,  
გამარჯვების ჟამი დგება,  
დავიბრუნოთ დინამო!"*

ინტერნეტით გავრცელდება ჰიმნის მუსიკალური ვიდეო, რომელიც დასრულდება ინფორმაციით საპროტესტო აქციაზე, სადაც ყველას მოვუწოდებთ მხარდაჭერის გამოსახადად მოვიდნენ და გაავსონ დინამოს სტადიონი. მესიჯი: "დავიბრუნოთ დინამო,

გავავსოთ სცადიონი!"  
ფეისბუქზე შეიქმნება ივენთი.  
სიმღერა და საპროცესსო მონოდემა განთავსდება რადიოშიც.

## **მეორე ეტაპი (1 დღე):**

დანიშნულ დღეს თბილისელები დინამოს სცადიონზე შეიკრიბებიან. ორგანიზება გაუკეთდება საქართველოს რეგიონებიდან უფასო ავტობუსების თბილისში ჩამოსვლას. შესვლისას მათ გადაეცემათ სიმბოლური ბილეთები, რომელზეც წერია მერამდენნი არიან სცადიონზე 1,2,54549, და ა.შ.

სცადიონზე აწყობილ სცენაზე ჰიმნის ავტორი ბენდი დაუკრავს. სცადიონის გავსების შემდეგ სცენაზე პრო ლიგის ყველა საფეხბურთო კლუბი გამოვა. დიდ ეკრანზე ჩაირთვება ვიდეო მესიჯი, სადაც ყოველ მომდევნო წინადადებას ახალი ფეხბურთელი ამბობს. მესიჯით გვიხსნიან, რომ დინამოს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ თუ 54549 ადამიანს ფეხბურთის მხარდასაჭერად შეუძლია შეიკრიბოს და საქართველოს ყველაზე დიდი სცადიონი გაავსოს, მაშინ ერთად საქართველოს ყველა სცადიონის გავსებაც შეგვიძლია. მესიჯი მთავრდება მონოდემით **დავიბრუნოთ ფეხბურთი** და ახალი პრო ლიგის დაანონსებით.

სიმბოლური ბილეთებით, რომლებიც დამსწრეებს გადაეცათ, შესაძლებელია სეზონის ერთ ნებისმიერ თამაშზე დასწრება.

ლონისძიების ბოლოს მედიისთვის ჩაფარდება პრეს კონფერენცია.

## **მესამე ეტაპი (2 თვე):**

გამორჩდება ბილბორდები მესიჯებით "დავიბრუნოთ ფეხბურთი" "გავავსოთ სცადიონი", რეგიონების მიხედვით ვიზუალები ადგილობრივი კლუბების ფერებში შეიცვლება. შეიქმნება პრო ლიგის ვებ-პორტალი და მობილური აპლიკაცია, სადაც სხვადასხვა კლუბების გულშემატკივრებს ხელი მიუწვდებათ ზოგად და კონკრეტულად მათი კლუბისთვის რელევანტურ ქონთენტზე, შიდა ფორუმზე და ა.შ. აქვე შესაძლებელი იქნება ბილეთების შეძენა ონლაინ და გაზიარება ფეისბუქზე.

პრო ლიგას ექნება ფეისბუქ გვერდი, საიდანაც გავრცელდება განრიგი, თამაშების საუკეთესო მომენტები, ექპერტების ანალიზი და ა.შ.

**ონლაინ ცოცხალიზაფორებზე სეზონზე დაემატება ფსონები იმაზე მოახერხებენ თუ არა გულშემატკივრები სცადიონის გავსებას, რაც ამ პროცესს დამატებით აზარცს შეძენს.**

## **შედეგად:**

ამ მასშტაბის მედია სთანთი უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით გამომუშავებულ მედიას, კამპანიის შესახებ გაიგებს სრულიად საქართველო და პრობლემა პირველ პლანზე წამოიწევა.

ქარველი გულშემატკივრები გამოფხიზლდებიან, გაერთიანდებიან ისეთი მნიშვნელოვანი CAUSE-ის გარშემო როგორც დინამოს სცადიონია, იგრძნობენ გულშემატკივრობისთვის დამახასიათებელ ერთსულოვნებას და მოუნდებათ ყოველ მატჩზე გამოსცადონ იგივე. სცადიონის გავსების "გამოწვევა" დაეხმარებათ გახდნენ პროცესის პირადი მონაწილენი და მათ მიერ შეცანილი წვლილის მნიშვნელობა გაიაზრონ.